საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 111 (6488) 21 ნოემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

პრეფექტურაში

## ყურადღების ცენტრშია სოციალური პრობლემები

რაიონის პრეფექტის კაბინეტის სხდომამ განიხილა საკითხი რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეინიშნება ბავშვთა კვების პირობების გაუარესების ტენდენციები.

ბაგა-ბაღების ბუფეტები და სასადილოები განიცდიან პურფუნთუშეულის, კვერცხის, კარაქის, ბოსტნეულის, ხილის და სხვა კალორიული პროდუქტების მწვავე დეფიციტს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ბავშვები ვერ იღებენ ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით მდიდარ საკვებს. დღეის მდგომარეობით წყვეტილობაა საკონდიტრო ნაწარმითა და სხვა ძირითადი პროდუქტებით მომარაგების საქმეში, რის გამოც არსებული პურის ნორმა შესაბამისად ასაკისა 80 გრამი და 120 გრამი ვერ აკმაყოფილებს ბავშვთა მოთხოვნებს.

რაიონის პრეფექტის განკარგულებით დაწესდა პურის ყოველდღიური ნორმა ბაგა-ბაღების სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 120 გრამის, ხოლო სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 200 გრამის რაოდენობით.

დაევალა პურკომბინატის და საზკვების გაერთიანების ხელმძღვანელობას ამ განკარგულების შესაბამისად ბავშვთა კვების მენიუში შეიტანონ ცვლილებები მიმდინარე წლის ნოემბრიდან, ამასთან გადაწყვიტონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნამცხვრით უზრუნველყოფის საკითხი. ხოლო რაიონის ბაგა-ბაღების ხელმძღვანელობამ საზკვების გაერთიანების ხელმძღვანელებთან ერთად ადგილობრივი რეზერვების ამოქმედებით უზრუნველყონ კვერცხით, ხილითა და ბოსტნეულით ბაგა-ბაღების მომარაგება. ეთხოვა რესპუბლიკის ცეკავშირის გამგეობას რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის რძის ფხვნილის და სხვა პროდუქტების გამოყოფა.

კაბინეტის სხდომამ განიხილა საკითხი ავტომანქანების და იმპორტული ავეჯის მთხოვნელთა სიების საკრებულოებზე გადაცემის შესახებ.

აღინიშნა, რომ ყოფილ სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომში 1969 წლიდან მსუბუქი ავტომანქანების მიღების რიგში აღრიცხვაზე იყო 732 მთხოვნელი, იმპორტული ავეჯის რიგში—666, რომელთა დაკმაყოფილება ხდებოდა აღმასკომთან არსებული კომისიის მიერ. ამჟამად აღნიშნული კომისია არ ფუნქციონირებს.

რაიონის პრეფექტის განკარგულებით მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნულ მთხოვნელთა სიები გადაეცეს რაიონის საკრებულოებს, რომლებმაც დეფიციტური საქონლის გამოყოფის შემთხვევაში უზრუნველყონ მთხოვნელებზე მათთვის სასურველი ავტომანქანების და ავეჯის გაცემა (პიროვნებისა და მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შესაბამისი რიგის დაცვით).

კაბინეტის სხდომაზე განხილულ იქნა და პრეფექტის განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა მრავალდარგოვანი მცირე საწარმოები: „გაგულეჩი", „კრისტალი", „დულაბი", მრავალდარგოვანი ფირმა „ცეკური", „კავკასიის ბირჟის" საბროკერო კანტორის „203 2-1" საფირმო მაღაზია.

## შრომის ბირჟის წარმომადგენელი ცაგერში

დაწესებულება, რომელსაც მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე შრომითი მოწყობის, გადამზადების და პროფორიენტაციის ცენტრი ეწოდებოდა და თბილისში, აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარეობდა, ამ ცოტა ხნის წინ საბურთალოზე კეთილმოწყობილ აპარტამენტში გადავიდა, ოღონდ ახლა მას თბილისის შრომის ბირჟა ჰქვია. მას მარტო სახელი როდი შეეცვალა, იგი ახალი დროის ატრიბუტია და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოლოდინში შეიქმნა.

თბილისის შრომის ბირჟამ თავისი განყოფილებები გახსნა რესპუბლიკის ქალაქებში, შრომითი ბირჟის ქუთაისის განყოფილებას კი ცაგერში ჰყავს თავისი წარმომადგენელი ნუნუ ბაბუხადია.

ახლა თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაჩნდა უმუშევრობის რეალური საფრთხე და მისი არსებობა ოფიციალურად აღიარებულია საქართველოშიც.

შრომითი ბირჟის ამოცანაა დაასაქმოს შემცირებების დროს გამოთავისუფლებული კადრები, ან მათი უმუშევრობის პერიოდში მათთვის შემწეობის აღმოსაჩენად გაიღოს გარკვეული თანხა დასაქმების სახელმწიფო ფონდიდან.

შრომითი ბირჟა ახლა იდგამს ფეხს თავისი დიდი მიზნებით და ამოცანებით. ცაგერში ბირჟის წარმომადგენელი სულ რამდენიმე კვირაა რაც დაინიშნა. რედაქცია ამზადებს ინტერვიუს ნუნუ ბაბუხადიასთან, რომელშიც კონკრეტული საუბარი გვექნება მასთან რაიონში არსებულ სიტუაციაზე, უმუშევართა მდგომარეობასა და მათთვის დახმარების გაწევის შრომითი ბირჟის მიერ დადგენილ წესზე.

## ეშმაკის მსახურთა ლახვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 23 ნოემბერს აღინიშნება წმინდა დიდებულისა დიდმოწამისა და ძლევამოსილის გიორგის ხსენების დღე

„მარადის ბრწყინვალე და ყოვლად ქებულ არიან წმინდათა მოწამეთა სახსენებელნი ხოლო უფროის ყოველთასა საქებელ არს და დიდებულ, რომელსა—ესე დღეს ვდღესასწაულობთ, რამეთუ დიდებულისა ამის წმიდისა მოწამისა სახსენებელი არათუ ოდენ ქრისტეს მეუფისა ვნებათა სახე არს, შემკული ღუაწლითა მით წამებისათა და განბრწყინებული მხიარულებითა მით არისათა, არამედ თავადთა მათცა დღესასწაულთა სამეუფოთა ნათლითა ბრწყინავს, რამეთუ არს შორის მათცა ვითარცა შორის ორთა მზეთა ბრწყინვალეთა დამტკიცებული მთოვარე, რომელი იგი ორკერძოვე განათლდებიან უმეტესად მზეთა მათ მიერ".

რომელ დღესასწაულს მიიჩნევს წმიდა ბასილი დიდი „უფროის ყოველთას საქებელ"?—ესაა წმინდა გიორგის ხსენების დღესასწაული. კაპადუკიის ერთ-ერთ წარჩინებული ოჯახის შვილი, ქრისტიანობის ღვთიური მადლით ცხებული გიორგი ამქვეყნიური მოწამებრივი ცხოვრების შემდეგ უფლის წმინდანთა დასში ჩაირიცხა და იქცა მათ შორის უპირველესად. იგი გამოჩნდა მაშინ, როცა რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს ულირსობის გამო უღმერთობასა და გარყვნილებაში ჩაეფლო ქვეყნიერება, როცა ზეიმობდა ურწმუნოება და მრუშობა, კაცს არად უჩნდა ქურდობა და კაცთა კვლა, როცა შესაწირავი არ აკლდებოდა წარმართულ სამსხვერპლოებს. „მაშინ უკუე ესევითარსა მას ჟამსა ვითარცა ვარსკვლავი მთიებისა და შემოსილი ბრწყინვალებითა მით ღმრთიმსახურებისათა, გამოჩნდა განათლებული გიორგი, ტკბილი იგი სახელითაც და საქმით.. ვითარცა ვარდი შორის ეკალთა აღმოეცენა.. თუით საქმენი ღაღადებენ მისთვის, ვითარმედ შვილი არს ღმრთისა და ზეცისა".

იმავ ბასილი დიდის სიტყვით გიორგი იყო „ჭაბუკი ჰასაკითა, მხცოვანი სიბრძნითა, წრფელი გულითა, ორკერძოვე ახოვანი ბრძოლად უღმრთობისა, მოწამე იგი ღმრთისმსახურებისა, რომელი აღიზარდა სიყრმიდან ახოვნებისა სწავლასა შინა და იქმნა მხნე და გამოცდილ ბრძოლათა შინა, ვიდრე თანახელმწიფების პატივი მიიღო და წინამძღუარ დასისა მხედართაისა იქმნა და საქმე თუისი კეთილად აღასრულა და მრავალთა შინა ბრძოლათა განმარჯვებულ იქნა".

როგორც ვხედავთ, არც გიორგის საერო ცხოვრება იყო დიდებას მოკლებული. მისმა მკლავმა და გონებამ შეაძლებინა გამხდარიყო წარჩინებულთა შორის უწარჩინებულესი, შეეძლო კიდეც ეცხოვრა უზრუნველ დიდებაში, მაგრამ მისი მართლმოყვარე და ღვთისმოშიში სული ვერ შეეგუა იმპერატორის სასახლესა და საგანმგებლოში გამეფებულ ღვთისგმობასა და ბოროტებას. და აქედან იწყება უპირველესი მხედრისა და ერისკაცის შედგომა უპირველესი წმინდანის გზაზე: „მოირტყნა წელნი თუისანი ჭეშმარიტითა და შეიმოსა ჯაჭვი იგი სიმართლისაი და შეისხა ფერხთა განმზადებულებაი სახიერებისა მის სიმართლისა და დაირქუა ჩაფხუტი იგი ცხოვრებისაი. ამას ყოველსა ზედა აღიღო ფარი სარწმუნოებისაი, დამშრეტელი ყოველთა ისართა მტრისათა განხურვებულთა და მახვილი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი".

ცნობილია მრავალი ლეგენდა წმინდა გიორგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ეს ლეგენდები საქართველოში, სადაც წმინდა გიორგი უპირველეს წმინდანად და ქართველთა მფარველ ღვთაებად ითვლება. ერთ-ერთი მეცნიერული ჰიპოთეზის თანახმად, საქართველოს უწინდელი სახელი გეორგიაც წმინდა გიორგის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ წმინდა გიორგი ქრისტიანობის თითქმის ყველა მიმდინარეობის აღმსარებელთათვის ძალზე პოპულარული წმინდანია, თქვენ წარმოიდგინეთ მისი სახელი ისლამისთვისაც კარგადაა ცნობილი.

ვინაიდან გიორგი უშიშრად დადგა ჭეშმარიტი სარწმუნოების დასაცავად და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა, ღმერთი მის შემწედ იქცა ბრძოლის პირველი წუთებიდანვე. სხვანაირად ძნელი ასახსნელია, როგორ გაუძლო ჩვეულებრივმა მოკვდავმა იმ საშინელ განსაცდელს, რომელიც დიოკლიტიანემ დაატეხა მას ქრისტეს მიმდევრობისათვის, როგორც ლეგენდა გვიამბობს, ყველა ჭრილობა, იმპერატორის ჯალათებმა რომ მიაყენეს ღმერთისთვის თვითშეწირულ ზვარაკს, მყის მთელდებოდა. იმპერატორმა მისთვის მოიფიქრა სასჯელი, შემაძრწუნებელი თავისი ულმობლობით: მახვილებიან თვალზე გაკვრა. წმინდანმა გაუძლო ამ საშინელ განსაცდელსაც, თუმცა მისი წმინდა სისხლით „ქრისტესათვის დათხეულისათა შეიღება ქვეყანაი". ვერ გატეხეს და ვერ მოკლეს იგი კირის ორმოში ჩაფლვითაც. უფალი იყო მასთან ტანჯვისას და საბოლოოდ წაიყვანა კიდეც ზეცად, როცა გიორგის თავი მოჰკვეთეს: „მახვილითა აღესრულა და ხორციელითა მით სიკვდილითა სულიერი სიკუდილი მოაკუდნა და ძლევით შემოსილად გამოჩნდა სისხლისა მიერ და ძლევისა გჳრგჳნი შეიმოსა, საქმით შეწირა ძლევისა გალობაი მომცემელსა მას ძლევისასა".

წმინდა გიორგის ქართულ ხატებზე იგი უმეტესად გამოსახულია დრაკონთან **ბრძოლის დროს, თეთრ** ცხენზე **მჯდარი** წმინდანის შარავანდედით მოსილი გიორგი სასიკვდილო ლახვარს სცემს შემზარავ ურჩხულს. საქართველოს თითქმის ყველა ეკლესიაში არის დასვენებული ასეთი ხატი, ხოლო თითქმის ყველა სოფელში—წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ან ნაეკლესიარია, რაც წმინდანის უდიდეს გავლენაზე მიუთითებს ქართულ მართლმადიდებლობაში.

## თვალსაზრისი

# ვიწრო დროა

საქართველოში ძმათა ომი მიმდინარეობს..

ძმამ ძმაზე აღმართა ხელი!

ამჟამადაც არ არის სიტუაცია სტაბილიზებული. არც არის ჭამორიცხული, ვიდრე უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი არსებობს, კვლავ აღზევდეს კაენი.. კვლავ გაიხაროს მტრის გულმა.

ადამიანად რომ შერჩე ცხოვრებას, ეს ძალიან ძნელი ყოფილა. სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა, ხალხისათვის ზრუნვა და თავდადება მართლაც რომ მძიმე ტვირთი ყოფილა. საქმე ის არის, რომ ამ ტვირთს კაცობის, ადამიანობის ტვირთიც აზის მხრებზე და ხშირად ორივე ვერ თავსდება ერთად და მერწმუნეთ, ეს ასეა! აქ ვერავინ და ვერაფერი ვერ გიშველის, თუ სულის სიმტკიცემ და სიძლიერემ არ აგაწევინა ეს ტვირთი, თუ შინაგანმა სამყარომ არ დაგაძლევინა ბევრი საცთური, თუ გონებამ და წმინდა სინდისმა არ წარმართა შენი სიტყვა.

იყო კარგი ქართველი, მით უმეტეს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, ნიშნავს სიმართლისაკენ, სიკეთისაკენ, თავისუფლებისაკენ მიმავალი ძნელი გზა გაკვალო გამკვალავისთვისაც და სხვისთვისაც. იმისთვისაც, ვინც ამ გზაზე ალარასოდეს გაივლის, მაგრამ ეძებდა კი ამ გზას და იმათთვისაც, ვინც შემდეგ მოვა, ეს ნიშნავს ავმაღლდეთ საკუთარ ვნებებზე, გვახსოვდეს 9 აპრილის ზვარაკნი, „თეთრი ბატონი“, ფერფლად ქცეული სიჭაბუკე გია აბესაძისა და ვიფიქროთ მომავალზე. მთავარი აქ გზაა—გზის არსებობა. ეს გზა კი სულმნათი მერაბ კოსტავასა და ბატონი ზვიად გამსახურდიას. რუდუნებით გამოჩნდა და ახლა მაინც ამ გზაზე თუ ყველამ წმინდად, პატიოსნად არ გავიარეთ, დაიღუპება საქართველო.

კალამიც ხელში სწორედ ამ ტკივილმა ამაღებინა.

ქართველებს შორის აღმართულია ე. წ. გაუცხოების კედელი, როგორც ოპოზიცია გვარწმუნებს, დაწყებულია სამოქალაქო ომი.

იყო ე. წ. პუტჩიც.

დიახ, საქართველოში გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ფენა „მაღალი დემოკრატებისა“, „მაღალი ინტელიგენციისა“... პირადი ამბიციებით გაავებულნი დღეს ეჭიბრებიან ჩვენს პრეზიდენტს სამშობლოს სიყვარულში.

რას ერჩით? „მაღალი ინტელიგენტები“ არიან. რა მოხდა მერე, თუ 3-4 წინადადებას ქართულს „ტაკ სკაზატ“-ს მოაყოლებენ, წლების მანძილზე რომ სკკპ დეპუტატები იყვნენ? ფერი იცვალეს, ბატონებო, ფერი!.. მერე რა, რომ განცხრომით ცხოვრობდნენ, ტელევიზიაში ენამზეობდნენ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურას, ხელოვნებას, ერს, საზოგადოებას ათწლეულების მანძილზე სსრკ-ს სახელით წარმოაჩენდნენ. იზიარებდნენ ყოველივეს, საკუთარი აზრი გააჩნდათ, ერთ პოზიციას ადგნენ, საინტერესოა, იმ დროს შინაგანად თავისუფლები, ადამიანური ღირსების მატარებელნი იყნენ?...

იმ დროს კი... იმ დროს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია საზოგადო მოღვაწეებად ითვლებოდნენ და დღესაც საამისო პრეტენზია აქვს ბატონ ზვიად გამსახურდიას. მძიმე ტვირთი ჰქონდათ ნაკისრი, მძიმე ვალდებულება ორთავეს.

ძნელია კაცობის ტვირთის ზიდვა და ამიტომაც ვერ შეძლო მავანმა და მავანმა.. კაცი, რომელიც გუშინ ჩვენ გვასწავლიდა, რომ ბატონი ზვიადი და მისი მეგობრები ეროვნული აღტკინებით ებრძოდნენ ტოტალიტარულ რეჟიმს, დილეგებში ალამ-ათენებდნენ, მოწამეობრივ ცხოვრებას ეწეოდნენო, ახლა ავთანდილ გველესიანისა არ იყოს, „საცოდავი მედროვე—„პატრიოტი“ ბარიკადებზე გავრომშობს, პოლიტიკაში სენ-სიმონობს, ეკრანზე და ცხოვრებაში რობინ ჰუდობს, სინამდვილეში კი მხდალი კარიერისტი იყო და დღესაც ასეთია“.

ვარ სრულიად საქართველოს პედაგოგთა 12 კაციანი დელეგაციის წევრი, რომელიც შეიქმნა იმ მიზნით, რათა საქართველოსათვის აერიდებინა მეორე ბაზალეთი, რათა აეძულებინა სხვადასხვა აქციებით პოზიციაც და ოპოზიციაც დამსხდარიყვნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და დაწყებულიყო მათ შორის კონსტრუქციული დიალოგი. მივიღეთ მიმართვა სრულიად საქართველოს პედაგოგებისადმი, რომლის განხილვასაც აქ არ შევუდგები, რამეთუ ვთვლი, რომ ჩვენი რაიონის პედაგოგთა ნაწილი ამ მიმართვას კარგად იცნობს. ახლა ჩემი თვალით ნანახზე, ჩემი ყურით გაგონილის შესახებ მინდა გესაუბრო, მკითხველო. ურთიერთობა გვიხდებოდა როგორც მთავრობასთან, ისე ტელევიზიაში გამაგრებულ ოპოზიციონერებთან. დიახ, მე ვნახე ის, თუ როგორ დაკარგეს შურით დაბრმავებულებმა ადამიანობა. ფაქტები გნებავთ? უამრავი შემიძლია დაგისახელოთ, თუმცა ვიცი, რომ. რამდენიმე პიროვნების განქიქება საქმეს ვერ უშველის, მაგრამ თუ გვინდა სიმართლეში კარგად გავერკვეთ, სწორი არჩევანი გავაკეთოთ, ამას მაშინ შევძლებთ, თუ მომხდარს კარგად გავაანალიზებთ, დავინახავთ შეცდომებს როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

ე. წ. ოპოზიციონერებს შედგენილი ჰქონდათ დროებითი კომიტეტი, განაწილებული თანამდებობები. პრეზიდენტის ჩამოგდებასღა ელოდნენ მხოლოდ. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრის ბატონი მ. გომართელის მოკრძალებულ შეკითხვაზე „შემდეგ რას გააკეთებს დროებითი კომიტეტი?“ არხეინად გვიპასუხეს „მთავარია პრეზიდენტის მოშორება, რა გაგიხდათ ეს ერთი კაცი და გზაც გამოჩნდებაო“. ოპოზიციას აერთიანებდა მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, როგორც ჩვენ ვხედავდით და შემდგომში ფართო საზოგადოებრიობამაც დაინახა. იქაც ბრძოლაა პირველობისათვის. ღმერთმა დაგვიფაროს და.. ალბათ, შემდეგ ერთმანეთს დაერევიან სკამებისათვის. ლაპარაკობენ ძარღვების დაგლეჯამდე რესპუბლიკის იმიჯზე, მაგრამ—ვინ ქმნის ამ იმიჯს?—კითხვას თავს არიდებენ, ანდა ერთ კაცს ახვევენ თავზე. პრეზიდენტობის მაძიებელთა რიცხვი ძალზე დიდია, ზოგიერთი მათგანი დღეს ამ ინსტიტუტის გაუქმებასაც კი მოითხოვს, დიახ, გაუქმებას მოითხოვენ ისინი, რომლებიც ნებადართული თუ აკრძალული მეთოდებითაც კი იბრძოდნენ ამ პოსტის მოპოვებისათვის.

პოლიტიკას თავი ვანებოთ და მომხდარს მხოლოდ მორალური თვალსაზრისით შევხედოთ. „დიდი დემოკრატობა“ ნუთუ ზარბაზნებით ბრძოლას ნიშნავს? ნუთუ უმრავლესობის აზრის ფეხქვეშ გათელვას ნიშნავს? „მაღალი ინტელიგენტობა“ ნუთუ იმას ნიშნავს, რომ ქართველს ქართველის სისხლის დაღვრისკენ მოუწოდო? ის, რაც ბედმა ჩვენს თაობას არგუნა, ჩვენშივე იბადება. გაგვთიშა, დაგვაპირისპირა, მტრებად ჩამოგვაყალიბა. დიახ, მტრებად ჩამოგვაყალიბა. ამ სიტყვას რატომღაც უხეშობს მავანი. სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ მას, ვინც ავტომატის ჯერით მოჰკლავს მის სისხლსა და ხორცს? ვინც ზარბაზნით თავს დაადგება? ვინც ხელს შეუშლის საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებას?..

მთავარი კი, რაც ყველაზე ძალიან მაშფოთებს, ახლა მინდა გითხრათ. ტელევიზიაში მისვლის პირველი დღე მინდა გავიხსენო. ვიდრე დეპუტაციაზე საშვს დაუშვებდნენ, კიბეებამდე მივაღწიეთ და აღმოვჩნდით ავტომატების გარემოცვაში. რა თქმა უნდა, შემოგარენს ვათვალიერებდით. მესამე სართულზე შევნიშნეთ მე-9—მე-10 კლასელი ბიჭები (ჩვენი დელეგაციის წევრებმა თავიანთი მოსწავლეები შეიცნეს) პირში გაჩრილი სიგარეტებით და მხარზე გადაკიდებული ავტომატებით. სულ რომ არაფერი ვთქვათ ოპოზიციის დანაშაულებრივ ქმედებაზე, მის ლიდერებს ის ეყოფათ ერის წინაშე მიუტევებელ ცოდვად, რომ ბავშვებს, დიახ, ბავშვებს ხიბლავენ ნარკოტიკული ნივთიერებებით, იარაღით და ალბათ პირში სიგარეტგაჩრილი ლამაზმანებითაც.. ვიმეორებ, ეს ისეთი დანაშაულია ერის წინაშე, მომავალი თაობის წინაშე, შენდობაც რომ არ უხერხდება (დელეგაციაში კონგრესმენი პედაგოგებიც იყვნენ, მაგრამ ამ საკითხში ჩვენი აზრი განუყოფელია). აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ იქ შესულმა, საერთოდ როგორც ქალმა, დავკარგე წარმოდგენა ქალზე. სამწუხაროდ, ამასაც ხმამაღლა ვაცხადებ.

გავესაუბრეთ კიტოვანის თანამზრახველ რამდენიმე გვარდიელს. მართლაც კარგ ვაჟკაცებს და კითხვაზე—აქ რატომ დგახართ? გამოირკვა, რომ ბევრმა მათგანმა არც იცოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში „ახლა კი ვხედავთ, მაგრამ რაღა დროსო“—გვიპასუხეს. ისინი წამოვიდოდნენ, მაგრამ... ეშინიათ! დიახ, ეშინიათ! იქ ხომ ბევრი ნაძირალაა, რომლებიც შემდეგ მათ ოჯახებს გაუსწორდებიან. ამისი მაგალითებიც ხომ ბევრია...

ახლა ყველა ღონეს ხმარობენ ოპოზიციონერები, მაქსიმალურად გამოიყენონ [illegible] და სახელი გაუტეხონ ეროვნულ მთავრობას. [illegible] ვლეს, მგონი დაიჯერეს, რომ საქართველო მარტო თბილისი არ არის. რუსთაველზე მდგომ პროვინციელებს არ თვლიდნენ ქართველებად და „აყროლეს რუსთაველიო“ გაჰკიოდნენ ხმამაღლა, თორემ საქართველოს ულამაზეს კუთხეებში სტუმრობისას შემოდგომის სურნელით აპირებენ ტკბობას.

ლეჩხუმელებო! ნუ გავუხსნით გულუბრყვილოდ ნურც სახლისა და ნურც გულის კარებს მათ! სარგებლობენ იმით, რომ პრეფექტურები, მთელ რიგ რეგიონებში ვერ პასუხობენ სათანადო მოთხოვნებს. სწორედ ასეთ პრეფექტურებზე გულაცრუებული ხალხია ოპოზიციის დასაყრდენი. ასე მოხდა ჩვენს მეზობელ რაიონში... ახლა დაჰქრიან მანქანები რაჭასა და ლეჩხუმს შორის და ათასგვარ ბინძურ პროკლამაციებს ავრცელებენ. სწორედ ამიტომ, ვიდრე ჯერ კიდევ არ არის გვიან, მინდა მივმართო ყველა ლეჩხუმელს, ძვირფასო ლეჩხუმელებო! თქვენ ერთხელ უკვე გააკეთეთ სწორი არჩევანი და ხმა მიეცით ღირსეულ პრეზიდენტს.

რაიონის პრეფექტურის თანამშრომლებს, სოფლის საკრებულოებს, გამგებლებს გთხოვთ—ყოველივე გააკეთეთ წმინდად, პატიოსნად, ნუ აუცრუებთ თქვენი უგერგილო მოქმედებით ადამიანებს გულს ეროვნულ მთავრობაზე—და ბოლოს, გვახსოვდეს ძვირფასო მკითხველებო, რომ ძალადობა შობს ძალადობას, სიცრუე—სიცრუეს ბადებს.

სულ ერთია, ოპოზიციონერები ვართ თუ პოზიციის წარმომადგენლები, ქართველები ვართ: ერთი სისხლი გვიდუღს ძარღვებში. დროა გონს მოვეგოთ, ვიდრე დროა ჩვენი დახვეწილი ქცევით, სიმშვიდით, თავშეკავებით დავამტკიცოთ, რომ ქართველები ვართ. ვიდრე დროა დავანგრიოთ ლმობიერებით ჩვენს შორის არსებული გაუცხოების კედელი არა ზარბაზნებით, არა ბომბებით, არამედ გონით, ჭკუით. ყველამ ვაკეთოთ ჩვენი საქმე. პური მცხობელმა აცხოს, პოლიტიკოსმა— პოლიტიკოსოს, ხარაზმა წაღები კეროს...

ვიდრე დროა, ვიფიქროთ არა პირად ინტერესებზე, არამედ ეროვნულზე, რომელიც ნებისმიერი პარტიის ინტერესებზე მაღლა დგას.

**დ. ჩორგოლიანი.**

სოფელი ალპანა.

---

## სოფელში ცხოვრობს ინტელიგენცია

# დიდი ჯილდო

სწრაფად გასულა წლები, უამრავი ბედნიერი თუ ტკივილიანი, ნაოცნებარი თუ სევდიანი დღე დაუნანებლად გაუფერმკრთალებია ჟამთასვლას. ის დღე კი, როდესაც საკლასო ოთახში შესულს პირველად შეეგება მოსწავლეთა სუფთა, მომლოდინე თვალები, ცხადად შემოუნახავს პედაგოგ ნორა გასვიანის მეხსიერებას.

ჩხუტელის საშუალო სკოლაში გადადგმული ახალგაზრდა პედაგოგის მღელვარე ნაბიჯით შეუდგა თავის წილხვედრ გზას. ეს გზა იყო რთული, მაგრამ საინტერესო, წლების მანძილზე მუშაობდა რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად, ასწავლიდა რაიონის სხვადასხვა სოფლის სკოლებში, ხელმძღვანელობდა ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

მას, როგორც სკოლის დირექტორს, ბუნებრივია, სოფლის არაერთ სატკივართან უხდებოდა უშუალო შეხება, თითოეული მათგანი ხომ მისი აღსაზრდელების ყოფაზე ახდენდა გავლენას, ამიტომაც განუყოფელი იყო მისთვის სოფლის და სკოლის საფიქრალ-საზრუნავი.

თანასოფლელები ქალბატონ ნორაში გრძნობდნენ სოფლის პრობლემებში კარგად გათვითცნობიერებულ საიმედო გულშემატკივარს, მოზარდები კი ენერგიულ პედაგოგს, ყოველდღიურად რომ უკვალავდათ გზას მათემატიკური მეცნიერების რთულ სამყაროში. ასე იყო ათეულობით წლების მანძილზე, ასეა დღესაც.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი კვლავ მისთვის ჩვეული გულისყურით ეკიდება ყველა იმ სიახლის დანერგვას, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებას. ახლა ხომ სკოლის მერხებთან ჭეშმარიტად დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი სწავლობს. ის მომავალი, რომელიც მასწავლებლისაგან მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ცხოვრების ავ-კარგის გარჩევის ახსნასაც ითხოვს. ხომ ცნობილია, რომ ყველაფერი ეს მარტოოდენ მათ შეუძლიათ, ვინც კარგ პედაგოგთან ერთად, ჩვენი საზოგადო საქმის რეალური შემფასებელიცაა, ისეთი, როგორიც თავად ნორა მასწავლებელია.

ქალბატონი ნორას თაყვანისცემამ საკუთარი პროფესიისადმი გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი ქალიშვილის პროფესიულ არჩევანში. მანანა უკვე რამდენიმე წელია ჩხუტელის საშუალო სკოლაში მათემატიკის საგანს ასწავლის. სამი შვილის დედა ხშირად ესტუმრება სოფელ დეხვირში მამისეულ კერას და მაშინ მომავლის იმედი დაისადგურებს ბებიის გულში.

... ყოველწლიურად იცვლებიან სკოლის მერხებთან მსხდომი თაობები. ნორა მასწავლებლის ყოფილი მოსწავლეები დღეს თავად ქმნიან სოფლის მომავალს. მათ მიერ ყოველი უღალატოდ, კეთილსინდისიერად გაკეთებული საქმე სიხარულს მატებს, სიამაყით ავსებს აღმზრდელს, რადგანაც ეს ყველაზე დიდი ჯილდოა მისი, როგორც პედაგოგისა და აღმზრდელის.

**ლ. ცხვედიანი.**

# მიზანი — გაკვეთილის ეფექტიანობის გაზრდა

დღეს ჩვენი სკოლა, სახალხო განათლების მთელი სისტემა დიდი გარდაქმნების—სასკოლო რეფორმის განხორციელების გზაზე დგას. ზოგად საგანმანათლებლო სკოლამ უნდა გადაწყვიტოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოზარდი თაობის სოციალური მომზადების ამოცანა. საქმე ეხება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მთელი საქმის თვისობრივ გარდაქმნას.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაკვეთილის ეფექტიანობის ამაღლებას, რომელშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სწავლების კაბინეტურ სისტემას, სწავლების ტექნიკური საშუალებების გონივრულ გამოყენებას, გაკვეთილების სრულყოფილ გათვალსაჩინოებას, საეკრანო საშუალებების ფართო გამოყენებას და სხვა.

ჩვენი რაიონის სკოლების უმრავლესობა გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. კაბინეტები ზომიერად არის აღჭურვილი სწავლების ტექნიკური საშუალებებით. მიმდინარე წელს ლაჯანის სკოლა-ინტერნატში, ჩხუტელისა და ცაგერის საშუალო სკოლებში დამონტაჟებული იქნა ძვირად ღირებული კომპიუტერული ტექნიკა. ამ საქმისათვის დახარჯული იქნა ძალზე დიდი თანხა. ახლა საჭიროა მათი ეფექტური გამოყენება, რათა ვნახოთ სათანადო უკუგება. რაიონი განიცდის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, რაც საგრძნობლად აფერხებს კომპიუტერული ტექნიკის ეფექტურ გამოყენებას.

არ არსებობს არცერთი სასწავლო დისციპლინა, რომლის შესწავლის დროს არ შეიძლებოდეს სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება, მთავარია საგნის მასწავლებელი არჩევდეს გაკვეთილის თემის შესაბამის ტექნიკურ საშუალებას. მისი გამოყენების დროს მასწავლებელი არ უნდა ხსნიდეს იმას, რის გაკეთებაც მოსწავლეებს დამოუკიდებლად, ტექნიკური საშუალებებით შეუძლიათ. ამით მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას, პრაქტიკული მოქმედებიდან თეორიული დასკვნების გაკეთებას.

გაკვეთილის მიზნის მისაღწევად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საეკრანო საშუალებების (კინოფილმების, დიაფილმების, დიაპოზიტივების, კოდოპოზიტივების და სხვა) მოხერხებულ გამოყენებას. სასწავლო კინოფილმებით შეიძლება მოსწავლეებს გავაცნოთ ისეთი მასალა, რომლის გადაცემა მასწავლებელს არ შეუძლია. ტექნიკურ დისციპლინებში შეიძლება ნაჩვენები იქნას ისეთი ცდები, დანადგარები, რომლებსაც ჩვენ სკოლებში ვერასოდეს ვერ ვანახებთ მოსწავლეებს კაბინეტების სიღარიბის გამო.

ჩვენი რაიონის ფილმოთეკა მდიდარია სასწავლო ფილმებით და დიაფილმებიც გვაქვს, 400 დასახელების ფილმი და 300 დასახელების დიაფილმი. სამწუხაროა, რომ ამ სიმდიდრის გამოყენება არ ხდება ეფექტურად. ამაში ბრალი მიუძღვის სკოლის დირექციებს, მათ მასწავლებლებს, განათლების სპეცსამსახურს ფილმოთეკას, მეთოდკაბინეტს, სასკოლო ინსპექტორებს და სხვას.

ფილმოთეკით რაციონალური სარგებლობის მიზნით რაიონის სკოლის დირექციები ვალდებულნი არიან, რომ ფილმოთეკას გამოუგზავნონ განაცხადი ფილმების შესახებ. განაცხადში უნდა ჩანდეს უახლოეს ერთ კვირაში თუ რა ფილმები სჭირდება სკოლას. ამ განაცხადის შემდეგ ფილმოთეკა შეარჩევს ფილმებს და ფილმოთეკის მანქანით (კვირაში ერთხელ მაინც) მიაწვდის სკოლებს. ყოველი კვირის ხუთშაბათს ფილმები მიეწოდება ტვიშის, ალპანის, ლაილაშის, ორბელის, ღვირიშის, ლაცორიის, ლაჯანის სკოლა ინტერნატის, ორხვის, ზოგიშის, საირმის უსახელოს, თაბორის, ნასპერის საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებს. ხოლო პარასკევს ფილმები მიეწოდება ჩხუტელის, ცაგერის, ლასურიაშის, ბარდნალის, ოყურეშის, ზუბის, მახაშის, დეხვირის, ლუხვანოს, ჩქუმის ისუნდრის, აღვის, ქვ. ცაგერის და ჰალისთავის სკოლებს.

საბავშვო ბაღებმა, რომლებიც ქალაქის ტერიტორიაზეა, უნდა გამოგზავნონ წარმომადგენლები დღით ოთხშაბათს და წაიღონ თვითონ.

სკოლის დირექციებს, საგნის მასწავლებლებს ვთხოვთ, რომ აღნიშნულ დღეებში ნახმარი ფილმები მზად იყოს უკან დასაბრუნებლად, რათა მძღოლს ხელი არ შეეშალოს.

განაცხადის შედგენის დროს უნდა მიუთითოთ ფილმის ნომერი (ფილმის ნომერი არის ის, რომელიც სკოლაში არსებული ფილმების სიაში არის).

ფილმოთეკით სარგებლობის წესების დამრღვევ სკოლებს ახლა განგებ არ ვასახელებთ. თუ კიდევ გაგრძელდა ამ წესის დარღვევა, შემდეგ მათ დასახელებას აღარ მოვერიდებით.

**ს. მიქაძე,**
განათლების განყოფილების ფილმოთეკისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების კაბინეტის გამგე.

# მიღწეული არ კმარა

საკლუბო დაწესებულებების ძირითად ამოცანას შეადგენს ზრუნვა ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, თავისუფალი დროის გონივრულად და შინაარსიანად გამოყენებისათვის.

საკლუბო დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად მუშაობის გაუმჯობესებისათვის ილვწიან ალპანის სასოფლო კულტურის სახლის მუშაკები, აქტივი (დირექტორი ნუნუ ჯანაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ციცო გოლეთიანი).

კულტურის სახლში საზოგადოებრივი საბჭოსა და აქტივის საშუალებით ტარდება კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, კონცერტები, შეხვედრები მოწინავეებთან—შრომის ვეტერანებთან, მრავალშვილიან დედებთან, ეწყობა ლექცია-საუბრები, დილა-საღამოები ქართველი ერის წარსულზე, მის აწმყოზე და მომავალზე, რაიონისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში თითოეული მშრომელის ღვაწლზე და სხვა.

კულტურის განყოფილებისა და სარაიონო კულტურის სახლის მუშაკები, მეთოდისტები დახმარებას უწევენ კულტურის სახლს, ამასთან ალპანის სოფლის საკრებულომ (გამგებელი თენგიზ ბურჯალიანი) განიხილა კულტურის სახლის მუშაობის საკითხი, დასახა ღონისძიებანი მუშაობის გარდაქმნისათვის, რის შედეგად ერთგვარად გაუმჯობესდა კულტმასობრივი მუშაობა და კულტურის სახლი თანდათან დგება მშრომელთა სამსახურში.

კულტურის სახლთან შექმნილია დრამატული, მხატვრული კითხვის, ხალხური სიმღერებისა და ჭადრაკის შემსწავლელი წრეები. დრამატულმა წრემ გასულ წელს მოამზადა და კულტურის სახლში მაყურებელს უჩვენა პიესა „ვენაცვალე ამის დამწერს“, წელს მოამზადეს და აპრილის თვეში მაყურებელს უჩვენეს პიესა—„შენ ჩემი შვილი არა ხარ“. მხატვრულმა ბრიგადამ ფასიანი კონცერტები ჩაატარა კულტურის სახლში, საირმისა და ალპანის სასოფლო კლუბებში.

წინა წლებში კულტურის სახლში ყოველ მეორე დღეს ტარდებოდა კინოსეანსები და მოსახლეობა კმაყოფილი იყო კინომომსახურებით, წელს მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში ჩატარდა კინოსეანსი მხოლოდ სამჯერ. იმის გამო, რომ არ სრულდებოდა კინოდან შემოსავლების გეგმა, კინოფიკაციამ გადაწყვიტა კულტურის სახლში დამონტაჟებული კინოსაპროექციო აპარატურა მოეხსნა, რის შედეგად რეგიონის მუშა-მოსამსახურეები, სკოლის მოსწავლეები, მოსახლეობა დარჩებოდა კინომომსახურების გარეშე. აღნიშნული გაითვალისწინა სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელობამ, მათ ივალდებულეს კინომექანიკოსის ხელფასის და კინოსეანსების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების გაცემა და კინოფიკაციამ კულტურის სახლს დაუტოვა კინოდანადგარი და მომავალში ჩატარდება კინოსეანსები.

მართალია წინა წლებთან შედარებით ერთგვარად გაუმჯობესდა კულტურის სახლის მუშაობა, მაგრამ მის საქმიანობაში კვლავაც არის ნაკლოვანებები. ზოგიერთი წრე ფორმალურად არსებობს. თუმცა ყველა წრეს არ აქვს მუშაობის ნორმალური პირობები, რადგან პირველი სართულის ოთახები გადაუდებელ რემონტს საჭიროებს, რის გარეშე წრეები ვერ მუშაობენ.

სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ კულტურის სახლს მუსიკალური ინსტრუმენტებიდან აქვს მხოლოდ ერთი პიანინო, ისიც შესაკეთებელია.

კულტურის სახლს ტრადიცია აქვს ცეკვისა და მუსიკის წრეების კარგად მუშაობისა, მაგრამ ბოლო წლებში ეს წრეები აღარ ფუნქციონირებს, რადგან ვერ იშოვეს დაინტერესებული ხელმძღვანელი. ამჟამად მოწვეულია მუსიკის წრის ხელმძღვანელი და მალე დაიწყებს მუშაობას ეს წრე.

უკვე ზამთარი მოგვიახლოვდა. ალპანის კულტურის სახლის დარბაზისა და ყველა ოთახის მინები ჩამტვრეულია (ამბობენ მიწისძვრამ ჩაამტვრიაო). ალბათ, ერთი კვირის შემდეგ თუ მინები არ ჩაისვა დარბაზში რაიმე ღონისძიების ჩატარება შეუძლებელი იქნება, ხოლო ოთახებში მუშაკები ვერ იმუშავებენ.

საჭიროა კულტურის განყოფილებამ სოფლის საკრებულოსთან ერთად გაატაროს სასწრაფო ღონისძიებანი კულტმასობრივი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

**ვლ. დავითულიანი.**

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

# კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ქრონიკული პათოლოგიური პროცესია ორგანიზმის ნერვულ-ენდოკრინული სარეგულაციო მექანიზმების ჩართვით, როდესაც ქსოვილთა ტროფიკის დარღვევის გამო კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავისა და იშვიათად საყლაპავის ქვედა ნაწილის ლორწოვან გარსში იქმნება ქსოვილთა დეფექტი (წყლული). დაავადება ქრონიკულად, რეციდივებით მიმდინარეობს.

წყლულოვანი დაავადება მამაკაცებში დაახლოებით ოთხჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში. წყლულოვანი დაავადება ვითარდება ცხოვრების ყველაზე აქტიურ ხანაში—25—30 წლის ასაკში.

წყლულოვანი დაავადებისათვის დამახასიათებელია თავისებური სინდრომი, რომელიც დაკავშირებულია კუჭის მომნელებელ აქტივობასთან—მის სეკრეციულ და მოტორულ ფუნქციასთან. ერთ-ერთი ადრეული სიმპტომია გულძმარვა. გულძმარვა იწყება ჭამიდან 0,5—1—2 საათის შემდეგ. გულძმარვას ზოგჯერ შველის საჭმელი, თბილი ჩაი, რის მიღებისთანავე ავადმყოფს ამოაქარვებს (ნახშირორჟანგი).

დამახასიათებელი სიმპტომია ტკივილი. იგი ხშირად თან სდევს გულძმარვას, მაგრამ შეიძლება დამოუკიდებლად იყოს. ტკივილიც დაკავშირებულია ჭამასთან და სეკრეციულ პროცესთან. არჩევენ ადრეულ ტკივილს საჭმლის მიღებიდან 0,5—1—1,5 საათის შემდეგ, გვიან ტკივილს საჭმლის მიღებიდან 2—4 საათის შემდეგ და ღამის ტკივილს. ხშირია ტკივილი უზმოზე, ე. წ. „მშიერი ტკივილი“, რომელიც ჭამის მერე გაივლის, მაგრამ რამდენიმე ხანში ისევ იწყება. დაავადების გამწვავების პერიოდში ავადმყოფს მთელი დღე-ღამე აწუხებს ტკივილი. ტკივილი ეპიგასტრიუმის არეშია, ხან მარჯვენა ფერდქვეშ, უფრო იშვიათად მარცხენა ფერდქვეშა მიდამოებში. შეიძლება იგი იწყებოდეს ჭიპის არეშიც, მის ზევით ან ქვევითაც. წყლულოვანი დაავადების დროს მადა და პირის გემო შენარჩუნებულია. ზოგს ჭამის სურვილი გაძლიერებული აქვს, რადგან ჭამა აწყნარებს ტკივილს. ასეთი ავადმყოფი ვერ იტანს შიმშილს, ჩქარობს ლუკმის ჩაყლაპვას. მძიმე შემთხვევაში, როდესაც ტკივილი განუწყვეტელი ხასიათისაა, ავადმყოფმა შეიძლება აღარ ჭამოს ტკივილის შიშით: ზოგს აქვს გულისრევა. პირღებინება უფრო ხშირად ხელოვნურია, მას თვით ავადმყოფი იწვევს.

იშვიათი როდია უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, რაც შეიძლება სტენოკარდიასაც წააგავს. მაჯა ზოგს გაიშვიათებული აქვს. ხშირია არტერიული ჰიპოტენზია. აღსანიშნავია ფუნქციური ხასიათის ცვლილებები. ცივი ხელ-ფეხი, აკროციანოზი, ოფლიანობა. ძილი კარგია, თუ მას არ არღვევს ტკივილი და გულძმარვა. წყლულოვანი დაავადებისათვის დამახასიათებელია ტალღისებრი მიმდინარეობა. დაავადების გამწვავება ხდება უფრო ხშირად გაზაფხულის პირზე და შემოდგომაზე, როდესაც ამინდის გარდატეხა იწყება. არცთუ იშვიათად, მით უფრო წესიერი მკურნალობისა და ჰიგიენური რეჟიმის დაცვის შემდეგ, რემისია შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდეს. დაავადების გამწვავება წელიწადის ყველა დროსაა შესაძლებელი, მეტადრე, თუ ავადმყოფს შეექმნა არახელსაყრელი პირობები.

კუჭის წვენში დამახასიათებელია მჟავიანობის მომატება, უფრო მეტად თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში. მჟავიანობის დაკლება იშვიათია საყურადღებოა ე. წ. მუნჯი წყლული, რომელიც უსიმპტომოდ მიმდინარეობს და თავს იჩენს მხოლოდ რომელიმე გართულების—სისხლის დენის, პილორუსის სტენოზის სახით.

მკურნალობის დაწყებისთანავე უნდა ავკრძალოთ თამბაქოს წევა, ალკოჰოლიანი სასმელები.

აკრძალულია ხორცის ბულიონები, თევზის, სოკოს ნახარში, შემწვარი ხორცი, შაშხი, დამარილებული და შებოლილი თევზი, მლაშე ყველი, ნიგვზიანი, მლაშე, ცხარე, მწარე, მჟავე სანელებლები, მდოგვი, პირშუშხა.

ავადმყოფმა უნდა მიიღოს ძირითადად რძის პროდუქტები, კარტოფილის პიურე, კარაქი, ჭყინტი უმარილო ყველი, კატლეტი ორთქლზე დამზადებული, თოლხო კვერცხი. კუჭის წვენის სიმჟავის მიხედვით უნდა მიეცეს მინერალური წყლები: ბორჯომი, ლაშიპალა, ძულური.

**ლია გუგავა,**
ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი თერაპევტი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ხათუნა მეშველიანს**
**ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიტკბოება გეფინოთ ცხოვრების ლამაზ გზაზე.

**ჯუმბერ ჭაბუკიანი ოჯახით.**

---

**ხათუნა მეშველიანს**
**ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი გფარავდეთ თქვენი ცხოვრების გზაზე.

**მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების სამუშაო ჯგუფი.**

---

**მარინე გოგიძეს**
**მირზა ჩაკვეტაძეს**

მოგილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული, სიკეთე და ღვთის მადლი არ მოგკლებოდეთ. სანიმუშო, შვილმრავალი ოჯახი შექმენით.

**ბიძინა გუგავა ოჯახით.**

---

**ელისო შალვას ასულ კვირკაშვილს**
**ზაქრო გივის ძე მებრელს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემყარი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**მარინე სვანიძე, ლალი ხვადაგიანი, ელეონორა სვანიძე, ხათუნა ჩარკვიანი, მელანო ყურაშვილი.**

---

**მარინე გოგიძეს**
**მირზა ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. მარადი ბედნიერების შუქით გაბრწყინებულიყოს თქვენი ცხოვრების გზა.

**იმედა უგულავა, მარინე მიქაძე, ლია ლიპარტელიანი, მთვარისა კოპალიანი.**

---

**ლია ჭაბუკიანს**
**შარდენ სვანიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით, იხარეთ.

**რიმა, ზურაბ თუთისანები, ზაირა, რეზო სივსივები.**

---

**მარინე გოგიძეს**
**მირზა ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემყარი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი, გფარავდეთ ღმერთი.

**სოფო გოგიძე, ანა, ბადრი ჭოხონელიძეები.**

## გილოცავთ

**გოგი ომანაძეს**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ულევ სიხარულს.

**ნატო.**

---

**მერი, შოთა ყურაშვილებს**

გილოცავთ მამუკას ჩარიცხვას უნივერსიტეტში.

**ნორა, შალვა ყურაშვილები, ლამარა, კუკური ჩაკვეტაძეები ოჯახებით.**

---

**ია ახათიანს**
**ჯემალ კოპალიანს**

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. ულევი სიხარული ყოფილიყოს მისი თანამგზავრი, შვილთა სიმრავლე ნუ მოჰკლებოდეთ.

**კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კოლექტივი.**

---

**ციცინო შოთას ასულ გოგიჩაიძეს**

გილოცავთ დისშვილის შეძენას. შემატებოდეს მრავალი დაძმა.

**სახელმწიფო შემოსავლების ინსპექციის თანამშრომლები.**

---

**ფატი ყურაშვილს**
**ვალერი გენიძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი. გფარავდეთ ღმერთი.

**ზუბის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.**

---

**ფატი ყურაშვილს**
**ვალერი გენიძეს**

გილოცავთ პირველ სიხარულს, ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის საამაყო შვილი.

გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

**ნუნუ მუშკუდიანი, მალვინა ქუფაძე.**

---

**ზიტა, მურმან ჩაკვეტაძეებს**

გილოცავთ შვილის დაბადების დღეს. გაიზარდოს ერის სასახელო შვილი.

**ბიჭიკო ომანაძე ოჯახით.**

---

**ფატი, ვალერი გენიძეებს**
**ქეთინო, ზაურ და კახა ყურაშვილებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და დისშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

**რუსუდან, გოტუნა, თამარა, მედიკო, გრიშა, ლევან ახვლედიანები, დიმიტრი, ლატავრა მუშკუდიანები, ფოთოლა, ნაზი მიქაძეები, მერი მამარდაშვილი, ლუბა, ჟორა ყურაშვილები, ჟუჟუნა გვიშიანი, ნანი, გუგული, შოთა ბობოხიძეები, ფატიმა ჩხეტიანი, გალინა კუხალაშვილი.**

---

**ეთერ, ნოდარ სილაგაძეებს**

გილოცავთ შვილიშვილების სალომეს და ლევანის შეძენას. გაიზარდონ სასახელო და ერის საამაყო შვილები.

**სასურსათო კომბინატის შრომითი კოლექტივი.**

---

**ნათელა მიქაძეს**
**ვილგემ მეშველიანს**

გილოცავთ ელისოს და ხათუნას ბედნიერებას. ჰფარავდეთ ღმერთი.

**ლეუშა კვირკაშვილი, გია მეშველიანი, მუხრან, თემურ მურცხვალაძეები, რეზო ლიპარტელიანი ოჯახებით.**

---

მეუღლე მარგალიტა, შვილები თენგიზი, ნარგიზა, ფატიმა, ზაირა, რძლები ნანული, ლუბა, სიძე ამირან კოპალიანი, შვილიშვილები ლევანი, ამირა, ლაშა, სიმამრი სევარიონ ფრუიძე, ცოლისდები ოლია, მაშიკო, ცოლისძმისშვილი ანზორ მურცხვალაძე, ძმისშვილები კოლია, დემტამირი, დავითი, ისლამი, იგრანი, ვალიდა მამედოვები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა ისმაილის ძე მამედოვი.**

დაკრძალვა 23 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ჩხუტელში.

---

ორბელის საშუალო სკოლის მეთხე კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაუგრძნობენ ლია ახვლედიანს მამამთილის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ჟორა, რუბენ, გენადი კვირკაშვილები, ექვთიმე, გიზო, ბიძინა გუგავები, კარლო მეშველიანი, ბიქტორ, ვლასი ქარსელაძეები, გივი ბურჯალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა მამედოვი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაურ დავითის ძე ჩიკვაიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ორბელის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი სულიკო ბურჯალიანი თანაუგრძნობენ მაკა სილაგაძეს ბაბუის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

იური კაჭკაჭაშვილი, ამირან ჭაბუკიანი, შოთა მურცხვალაძე, ემზარ მდივანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ზოია, ლერი სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბოსაშვილები ჯიუ, რეზო, მიშა, ბუხუტი, არჩილ ნემსწვერიძეები, რძალი თამარ გელოვანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გოგია) სტეფანეს ძე ნემსწვერიძე.**

---

ანზორ ბურჯანაძე, ჟორა ლარცულიანი, ონერ ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან

**თედორე პეტრეს ძე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

შვილი მევლუდი, რძალი ჯულიეტა ტოგონიძე, შვილიშვილი თემური, დები დუშა, ბელა, სიძეები ინდიკო მანაგაძე, დავით ბენდელიანი, ბორის კარანაძე, დისშვილები მაია, მამუკა მანაგაძეები, ნათია ბენდელიანი, დეიდები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გოგია) სტეფანეს ძე ნემსწვერიძე.**

პანაშვიდი 18 საათზე. გამოსვენება 21 ნოემბერს, ხუთშაბათს, 12 საათზე ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. № 5-17-დან. დაკრძალვა ცაგერის რაიონის სოფ. უცხერში.

---

უჩა ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს გრიშა ახვლედიანს ძმის

**ოთარ სერგოს ძე ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლია ახვლედიანს მამამთილის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თამარ ჩაჩხიანი თანაუგრძნობენ ამირან ბურჯალიანს ბიძის

**ჟორა მამარდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თამარ ჩაჩხიანი თანაუგრძნობენ ეკა სილაგაძეს ბაბუის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ჯონი ქარსელაძე, ამირან კვირკაშვილი, ამირან ჭიჭინაძე, ჯემალ სილაგაძე, გია ხეცურიანი, იროდი გულბანი, ვაჟა ჩაფრავა, მიშა მეშველიანი, ლეო კვირკაშვილი, ვიკენტი სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა მამედოვი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კუკური ხეცურიანი, გულნაზი, რამაზ კოპალიანები, თამაზ ახვლედიანი, ჯემალ ჩიკვაიძე, მურად მუკბანიანი, შერგი ყვირილიანი, ზაირა არდანიანი, ლილი ხვადაგიანი, ოჯახებით თანაუგრძნობენ ზოია, ლერი სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

## განცხადება

მსურველებს შეუძლიათ შეიძ[illegible] [illegible] კაკლის [illegible] ხელმისაწვდომ ფასებში.

**საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

მეუღლე ბაბი, შვილი ელგუჯა, რძლები მზია ხეცურიანი, დარეჯან გოდერიძე, შვილიშვილები გოგი, მაია, სიძე ლევან ბურჯალიანი, შვილთაშვილები მამუკა, გიორგი, სალომე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი ნიკოს ძე ყურაშვილი**

დაკრძალვა 23 ნოემბერს, შაბათს, სოფ. უსახელოში.

---

შვილები ლოლო, რომანი, რძლები სულიკო, ქეთინო, მელანო, სიძე შოთა სალუქვაძე, შვილიშვილები თენგიზი, თამაზი, ალეკო, მამუკა, მაკა, შვილთაშვილები მერაბი, სალომე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გუგულა ივანეს ასული ლაშხი-ჩაჩხიანი**

დაკრძალვა 23 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ლაილაშში.

---

შვილები რამაზი, გულო, სულიკო, ლია, ნაილი, ზოია, თინიკო, რძალი ლია ახვლედიანი, სიძეები ვანო ტვილდიანი, მიხა ზურაბიანი, მურმან თედორაძე, ზაურ ახვლედიანი, ლერი სალინაძე, რამაზ მახარობლიძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილი ინდისი სილაგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თედორე პეტრეს ძე სილაგაძე**

---

შვილი გულო, სიძე ვანო ტვილდიანი, შვილიშვილები გულსუნდა, რუსუდანი, გერონტი, გია, ლია, ლელა, სიძეები შალვა ონიანი, იუზა კვირკაშვილი, ზურა რატიანი ოჯახებით იუწყებიან

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

დათო ლეთოდიანი, კარლო კოპალიანი, მარინე ელიავა, ნაირა ფუტკარაძე, ნატო ქარსელაძე, ქენია რეხვიაშვილი, ნათელა მიქაძე, დარეჯან მეტონიძე, ნათელა კოპალიანი, ლეილა მეშველიანი, მაყვალა ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ იზა ჯანელიძეს სიძის

**ჟორა მამარდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შურა შკუბულიანი, ბიძინა გუგავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა მამედოვი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დადაში დავითულიანი, ენგელი აფრიდონიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გოგია) სტეფანეს ძე ნემსწვერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლაჯანის კულტურის სახლის, კავშირგაბმულობის განყოფილების და შემნახველი სალაროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინიკო სილაგაძეს მამის

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალოდია ლიპარტელიანი ოჯახით იუწყება

**თედორე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.